პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა საქართველოში, ევროინტეგრაციის კონტექსტში არსებული გამოწვევები და შეფასებები

მაგისტრანტი მირანდა პერანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

ანოტაცია

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ქართული საჯარო სექტორი მუდმივად ცდილობს განვითარებას. ქვეყნის მიერ მკაფიოდ არჩეული კურსის გათვალისწინებით, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანად განხორციელება წარმოადგენს, რადგან საჯარო მმართველობის რეფორმა (Public Administration Reform -PAR) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობის და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ფარგლებში შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებს ეფუძვნება და 2023 წლის ნოემბერში განახლებული სახით გამოქვეყნდა.

ევროკომისიამ SIGMA -სთან ერთად განსაზღვრა 5 ძირითადი მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიმართულება პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციას ეხება. სწორად შერჩეული პოლიტიკის დაგეგმვა, მისი კოორდინირებული განხორციელება აძლიერებს მთავრობის შესაძლებლობას, რათა ქვეყანაში უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება, სანდოობა, პროგნოზირებადობა, მონაწილეობა, ღიაობა, გამჭვირვალობა, ეფექტურობა და ეფექტიანობა, რაც თავის მხრივ ეფუძვნება საერთაშორისოდ აღიარებული „კარგი მმართველობის პრინციპებს“

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, გააანალიზოს საქართველოში არსებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. განხილულია პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში არსებული მოქმედი კანონმდებლობა. წარმოდგენილია **რეფორმის გზამკვლევი 2020** და რეფორმის მეორე ციკლი **2023-2026 წლების სტრატეგია.** ნაშრომში განხილულია 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის **პირველი პროგრეს ანგარიში.** ხდება იმ ფაქტორების იდენტიფიცირება , რაც აფერხებს საქართველოში სასურველი შედეგის მიღებას პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინირების სფეროში.

კვლევა მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების მეორეულ ანალიზს. ასევე, რაოდენობრივი მონაცემების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს საკვლევ თემასთან მიმართებაში არსებული ჰიპოთეზის დადასტურებას. კვლევის საყრდენ თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ახალი საჯარო მენჯმენტის თეორია და ახალი ვებერიანული სახელმწიფოს მოდელი.

Abstract

Since gaining independence, the Georgian public sector has been consistently striving for development. Given the country's clearly defined course, one of its primary tasks is the effective implementation of Public Administration Reform (PAR). PAR is crucial for Georgia's European integration process.

A strategic document, based on European principles of public administration, was developed within the framework of a project by the European Union and the Organization for Economic Co-operation and Development (OECD/SIGMA). This document, aimed at promoting improved governance and management, was updated and published in November 2023.

The European Commission, in collaboration with SIGMA, has outlined five main directions, one of which focuses significantly on policy planning and coordination. Proper policy planning and its coordinated implementation enhance the government's ability to ensure accountability, credibility, predictability, participation, openness, transparency, efficiency, and effectiveness. These efforts are grounded in the internationally recognized "principles of good governance."

This paper attempts to analyze the existing policy planning and coordination system in Georgia in accordance with European public administration principles. It discusses the current legislation in the field of policy planning and presents the Reform Guide 2020 and the Second Reform Cycle 2023-2026 Strategy. Additionally, it examines the first progress report on monitoring the implementation of the 2023-2024 action plan, identifying factors that hinder desired outcomes in policy planning and coordination in Georgia.

The research involves a secondary analysis of local and international documents and includes a set of quantitative data to support the existing hypothesis related to the research topic. The theoretical framework of the research is based on the New Public Management theory and the New Weberian State model.